საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2022 წლის 6 მაისი**

დისციპლინური საქმე №99/20
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2020 წლის 11 სექტემბერი №99 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 6 ნოემბრის №99/20 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2022 წლის 6 მაისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტზე:

საჩივრის ავტორი უთითებს, რომ მოსამართლემ დაარღვია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „გ.ა“ და „ვ.ა“ ქვეპუნქტები. კერძოდ:

1.1. მოსამართლემ ორჯერ დაუდგინა სარჩელზე ხარვეზი მხარეს, რის შემდეგაც ისე მიიღო სარჩელი წარმოებაში, რომ მოსარჩელეს ხარვეზი არ შეუვსია.

1.2. ამასთან, მოსამართლემ ხელი შეუწყო საქმის განხილვის გაჭიანურებას.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2020 წლის 10 აპრილს -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა შპს -- -- წარმომადგენელმა -- -- მოპასუხე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ და მოითხოვა ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2020 წლის 13 ივლისის განჩინებით სარჩელს დაუდგინდა ხარვეზი. კერძოდ, მოსარჩელეს დაევალა ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული მასალების წარდგენა და იმის დაზუსტება მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოში დასრულდა თუ არა ადმინისტრაციული წარმოება.

2020 წლის 27 ივლისს საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2020 წლის 27 ივლისის განჩინებით ხარვეზის შევსებისათვის დადგენილი ვადა გაგრძელდა 10 დღით.

2020 წლის 3 აგვისტოს, -- -- სასამართლოს ხარვეზზე დადგენილი საპროცესო ვადის გაგრძელების თაობაზე განჩინებაზე განცხადება წარადგინა შპს -- -- წარმომადგენელმა და დააზუსტა, რომ მხარე ასაჩივრებდა ადმინისტრაციული ორგანოს „ვირტუალურ უარს“ რაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი 177-ე მუხლიდან მომდინარეობდა. აღსანიშნავია, რომ მხარეს ამ განცხადებით რაიმე დამატებითი მტკიცებულება სასამართლოში არ წარუდგენია.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2020 წლის 6 აგვისტოს განჩინებით სარჩელი მიღებულ იქნა წარმოებაში და ცნობილ იქნა დასაშვებად.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2020 წლის 6 აგვისტოს განჩინებით სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ მოსარჩელის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შპს -- -- წარმომადგენელმა -- -- 2020 წლის 10 აგვისტოს.

2020 წლის 17 აგვისტოს საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

საქმე -- სააპელაციო სასამართლოში გადაიგზავნა 2020 წლის 7 სექტემბერს და სასამართლოში შევიდა 8 სექტემბერს.

-- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის -- -- 2020 წლის 16 სექტემბრის განჩინებით შპს -- -- კერძო საჩივარზე დაუდგინდა ხარვეზი.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 6 ნოემბრის დასკვნა:

-- -- 2020 წლის 11 სექტემბრის №99 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ და „გ.ა“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა“, ხოლო „გ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს „მოსამართლის მიერ კორუფციული სამართალდარღვევის, ანუ „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5, 5^2, მე-7, მე-8, მე-10, მე-11, მე-13, 13^4, 13^5 ან 20^4 მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენა“.

ამდენად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ა) მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია განისაზღვროს რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითი დარღვევა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ ვადის არსებითად დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადა უშუალოდ მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებულ ობიექტურ გარემოებათა (საქმეთა სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ დაიცვა. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის ისეთი ქმედება, რომელმაც ზიანი მიაყენა მხარეს, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany; §98).

საპროცესო ვადებზე საუბრისას საინტერესოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა, რომლის თანახმადაც სამართლიანი სასამართლოს უფლება ინსტრუმენტული ხასიათისაა, მისი მიზანია ადამიანის უფლებების და კანონიერი ინტერესების სასამართლოს გზით ეფექტური დაცვის შესაძლებლობის უზრუნველყოფა.[1] სამართლიანი სასამართლოს ძირითად უფლებიდან გამომდინარე, სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს გონივრულად მისაღებ ვადებში, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, ვინაიდან მართლმსაჯულების გაუმართლებელი დაყოვნება ძირს უთხრის მისდამი საზოგადოების ნდობას. სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის კონკრეტული გარემოებების საფუძველზე.[2]

სასამართლომ აქტიური როლი უნდა შეასრულოს სამართალწარმოების დროულ წარმართვაში. თუმცა, ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს რა, რომ მართლმსაჯულება იყოს სწრაფი და ეფექტიანი, ხაზს უსვამს, რომ ამით არ უნდა დაზარალდეს მართლმსაჯულების სწორად (სათანადოდ) განხორციელების პრინციპი (Von Maltzan and Others v. Germany (dec.) [GC], §132), რომელიც სამართლიანი სასამართლოს უფლების უფრო ზოგადი პრინციპია.[3]

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების თანახმად, საქმეების ეფექტიანად, სამართლიანად და საკმარისად სწრაფად განხილვისას მოსამართლემ უნდა გამოიჩინოს სათანადო ყურადღება იმ მხარეთა უფლებების მიმართ, რომლებიც მის წინაშე გამოდიან და უზრუნველყოს სადავო საკითხების გადაწყვეტა ზედმეტი დანახარჯებისა და სამართალწარმოების გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე.[4]

ამდენად, მხარეთა უფლება მათი სარჩელის მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გონივრულ ვადაში განხილვის შესახებ, მოსამართლის უპირველესი ვალდებულებაა. მოსამართლე საქმის წარმოების დასაწყისიდანვე უნდა აკონტროლებდეს სამართალწარმოების ვადებს და მის ხანგრძლივობას,

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/5/879, 2019 წლის 14 ნოემბერი, II 2 (5)
[2] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/2/577, 2014 წლის 24 დეკემბერი, II 7
[3] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 23 თებერვლის განჩინება, საქმე №ას-1234-1175-2014
[4] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრიციპები და კომენტარები, თბილისი 2015, გვ. 192, §207

მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს პროცესუალური მოქმედებების თარიღებს. საპროცესო ვადის დარღვევამ არ უნდა შეუქმნას საფრთხე მართლმსაჯულების განხორციელებას.

საპროცესო ვადებზე საუბრისას მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის შესაბამის ვადებზე, რადგან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვემდე.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ სარჩელის წარდგენის შემდეგ, საქმე მოსამართლე -- -- განსახილველად გადაეცა 2020 წლის 27 ივლისს, რომლის განჩინებით ხარვეზის შევსებისათვის დადგენილი ვადა გაგრძელდა 10 დღით.

2020 წლის 3 აგვისტოს, -- -- სასამართლოს ხარვეზზე დადგენილი საპროცესო ვადის გაგრძელების თაობაზე განჩინებაზე განცხადება წარადგინა შპს -- -- წარმომადგენელმა და დააზუსტა, რომ მხარე ასაჩივრებდა ადმინისტრაციული ორგანოს „ვირტუალურ უარს“ რაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი 177-ე მუხლიდან მომდინარეობდა. აღსანიშნავია, რომ მხარეს ამ განცხადებით რაიმე დამატებითი მტკიცებულება სასამართლოში არ წარუდგენია.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2020 წლის 6 აგვისტოს განჩინებით სარჩელი მიღებულ იქნა წარმოებაში და ცნობილ იქნა დასაშვებად. 2020 წლის 17 აგვისტოს საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

ამდენად, საქმე მოსამართლე -- -- წარმოებაში იმყოფებოდა მხოლოდ 21 დღე, რა დროსაც მოსამართლემ რამდენიმე საპროცესო მოქმედება განახორციელა. ამდენად, ამ მიმართებით მოსამართლის მიერ საპროცესო ვადის არასაპატიო მიზეზით არსებით დარღვევის ხელშეწყობას ადგილი არ ჰქონია.

ბ) რაც შეეხება მხარის მითითებას, რომ მოსამართლემ ჩაიდინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის „გ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა, რადგან მოსამართლემ ორჯერ დაუდგინა სარჩელზე ხარვეზი მხარეს, რის შემდეგაც ისე მიიღო სარჩელი წარმოებაში, რომ მოსარჩელეს ხარვეზი არ შეუვსია.

აღნიშნულთან მიმართებით მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ თუ რა შეიძლება მივიჩნიოთ დისციპლინური გადაცდომად.

ზემოაღნიშნული ორგანული კანონის „გ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს „მოსამართლის მიერ კორუფციული სამართალდარღვევის, ანუ „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5, 5^2, მე-7, მე-8, მე-10, მე-11, მე-13, 13^4, 13^5 ან 20^4 მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენა.“

მოცემულ შემთხვევაში დადგენილ ხარვეზზე ვადის გაგრძელება, ხოლო მხარის დასაბუთებული განცხადების შემდეგ სარჩელის წარმოებაში მიღება ვერ იქნება განხილული კორუფციულ სამართალდარღვევად და ვერ მიიჩნევა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის „გ.ა“ ქვეპუნქტის დარღვევად, რადგან მოსამართლე ახორციელებდა ისეთ საპროცესო

მოქმედებებს, რომელიც თავისი არსით მის უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა, ხოლო მოსამართლის ქმედებებში დისციპლინური გადაცდომის რაიმე ნიშნები არ იკვეთება.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრისას მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 6 მაისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ათმა წევრმა, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური დევნისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის საფუძვლები.

შესაბამისად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტისა და 75^{13} მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე და 75^{13} მუხლის პირველი პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №99/20 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი